საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 17 2020 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო) და დამტკიცდეს თანდართული „საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულება“.
2. ბრძანების ამოქმედებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილ უწყებებს ეთხოვოთ საბჭოს წევრობის კანდიდატების საბჭოს თავმჯომარისათვის წარმოდგენა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გახარია

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2020 წლის 27 იანვრის
№ 17 ბრძანებით

საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება განსაზღვრავს საჯარო მმართველობის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მიზანს, ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, მუშაობის ორგანიზებასა და შემადგენლობას.
2. საბჭო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს მიზანი და ფუნქციები

1. საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობას.
2. საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:
   ა) საჯარო მმართველობის ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა;

ბ) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის (შემდგომში – გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა) შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება;
გ) გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული პროექტების, ინიციატივებისა და საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა;
დ) გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია.

მუხლი 3. საბჭოს მუშაობის ორგანიზება

1. საბჭოს ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე.
2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
3. საბჭოს სხდომა იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია საბჭოს ვადამდე ადრე მოწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით.
4. საბჭოს დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.
5. საბჭოს სხდომებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით, საბჭოს მდივანი.
6. საბჭოს სხდომაზე საკითხის ინიციირების უფლება აქვთ საბჭოს თავმჯდომარესა და მის მუდმივ წევრებს, ასევე საბჭოს სამდივნოსთან შეთანხმებით, სამუშაო ჯგუფის მომხსენებელსა და მოწვეულ ექსპერტს.
7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს მუდმივ წევრთა ნახევარზე მეტი.

8. საბჭოს გადაწვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე მუდმივ წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
9. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 4. საბჭოს უფლებამოსილება

დასახული მიზნისა და ამოცანების განსახორციელებლად საბჭო უფლებამოსილია:

ა) კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს საქმიანობისათვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია;

ბ) შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები გზამკვლევის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების მიზნით;

გ) ცალკეულ საკითხთა მომზადების, დასკვნების, წინადადებების, რეკომენდაციებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფები.

მუხლი 5. საბჭოს სამუშაო ჯგუფები

1. საბჭოს მიერ საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით იქმნება საბჭოს სამუშაო ჯგუფები.
2. საბჭოს სამუშაო ჯგუფები შესაბამის სფეროთა მიხედვით განიხილავენ ცალკეულ საკითხებს და საბჭოსთვის წარსადგენად ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რეკომენდაციებს, წინადადებებს, სამართლებრივი აქტების პროექტებს.

3. სამუშაო ჯგუფი შედგება სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან.
4. საბჭოს სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა შეიძლება ეთხოვოთ შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებს, ასევე დამოუკიდებელ ექსპერტებს, სათათბირო ხმის უფლების გარეშე.
5. საბჭოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელი.

მუხლი 6. საბჭოს სამდივნო

1. საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის საჯარო მმართველობის სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოსა და მის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების ანალიტიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას საჭიროებისამებრ.
2. საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს მდივანი.

მუხლი 7. საბჭოს სამდივნოს ფუნქციები

საბჭოს სამდივნო:

ა) კოორდინაციას უწევს გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს და შესაბამის დოკუმენტებს განსახილველად წარუდგენს საბჭოს;

ბ) გამოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;

გ) ამზადებს ანგარიშებს გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე;

დ) თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მათი დახმარების განსაზღვრის მიზნით;

ე) კოორდინაციას უწევს საბჭოს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას საჭიროებისამებრ;

ვ) განიხილავს და საბჭოს განსახილველად წარუდგენს საბჭოს სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებულ დასკვნებს, რეკომენდაციებს, წინადადებებს და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ზ) განსაზღვრავს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების და/ან შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და ჩართულობის გზებს;

თ) ამზადებს საბჭოს საქმიანობის ანგარიშს;

ი) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მომზადებასა და ჩატარებას;

კ) განსაზღვრავს და საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და საბჭოს სხდომაზე მოსაწვევ პირთა სიას;

ლ) ამზადებს და საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს საბჭოს სხდომის ოქმს.

მუხლი 8. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს მუდმივი წევრები არიან:

ა) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრის აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

დ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ე) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ვ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ზ) სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი, საბჭოს წევრი;

თ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს მდივანი, საბჭოს წევრი.

2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოთ საქართველოში ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მისი დაფინანსებული პროექტების წარმომადგენლებს, სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

3. საბჭოს მუშაობაში თემატურად მონაწილეობა შეიძლება ეთხოვოთ სხვა სამინისტროების წარმომადგენლებს სათათბირო ხმის ან სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

4. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა შეიძლება ეთხოვოთ შესაბამის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების და აკადემიური წრის წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ ექსპერტებს სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

5. საბჭოს წევრობა მის მუდმივ წევრს შეიძლება შეუწყდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან წარმდგენი უწყების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 9. საბჭოს ანგარიშვალდებულება

1. საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

2. საბჭო საქართველოს პრემიერ-მინისტრს ყოველი სამოქმედო გეგმის დასასრულს წარუდგენს საკუთარი საქმიანობის ანგარიშს.